საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of Chief Prosecutor of Georgia

KA011396779890618

0114 ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №24 ტელ: 2 405 344; 2 405 345
ელ.ფოსტა:presscenter@pog.gov.ge www.pog.gov.ge.

**№13/65104** **23 / აგვისტო / 2018 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი

ვახტანგ კობალაძეს

მის: ქ.თბილისი, დელისის I შესახვევი N5

ბატონო ვახტანგ,

თქვენი, 2018 წლის 06 ივლისის N3-222 და 2018 წლის 27 ივლისის N3-230 განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაციას ასახავს მხოლოდ პირთა რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, დანაშაულის ეპიზოდის მიხედვით მონაცემები არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება ინფორმაციას, საქართველოს სსკ-ის 248-ე, 251-ე 292-ე და 297-ე მუხლებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, გაცნობებთ შემდეგს: 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ სსკ-ის 297-ე მუხლით 6 პირის მიმართ, 2018 წლის 6 თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ სსკ-ის 251-ე მუხლით 3 პირის მიმართ.

ამასთან გაცნობებთ, რომ განცხადებებით მოთხოვნილი სხვა სახის ინფორმაციის აღრიცხვას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებს.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ჩილინგარაშვილი